პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975
შაბათი
4
ოქტომბერი
№ 233
(16359)
ფასი
2 კაპ.
1975

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობებს — ღირსეული შახვედრა!

უნდა ვიაროთ წინ, უნდა ვიყურებოდეთ წინ, ყრილობაზე მივიტანოთ მოფიქრებული და პარტიის ყველა წევრის ყურადღებით, საერთო შრომით, საერთო მეცადინეობით შექმნილი სამეურნეო მშენებლობის გადამუშავებული პრაქტიკული გამოცდილება.

ვ. ი. ლენინი

მოწინავეთა თაოსნობას — მზარდაჭერა!

ხელფასის ნახევარი — დაზოგილი თანხებიდან

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის კ. გელაშვილის კომკავშირული ბრიგადის თაოსნობა

ს ურათზე: თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის კომპლექსური ბრიგადის წევრები (მარცხნიდან) ზეინკალი ვ. კვანტალიანი, ელექტროშემდუღებლები ა. მაჭარაშვილი, ა. ტოხნოვი, მბურღავი ც. ჭაშაკაშვილი, ზეინკლები ტ. ჩარკვიანი, ა. გოძელიძე, ინსტრუქტორ-შემდუღებელი ვ. გრიგოლია, ბრიგადის ხელმძღვანელი ა. გელაშვილი, შემდუღებლები რ. ნადირაშვილი, ა. გორგიშელი, ზეინკალი ჯ. ბერიაშვილი, მბურღავი ვ. მაჩაიძე, ზეინკალი ე. ბერიაშვილი, ბრიგადირის თანაშემწე გ. შალამბერიძე.

ფოტო ვლ. ბინზბურგის

ს აქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის მოწვევის ცნობამ რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა ორლექტივებში დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა გამოიწვია.

თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხანაში გაიმართა ქარხნის პარტიული და პროფკავშირული კომიტეტების გაფართოებული სხდომა, რომელიც საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის აღსანიშნავად ახალი ვალდებულების აღებას მიეძღვნა.

ქარხნის დირექტორი ა. ბუაძე შეკრებილთ ესაუბრა საწარმოს იმ ამოცანების შესახებ, რომლებიც ძირითადად დასახული იქნება ახალ ხუთწლედში. მან აღნიშნა, რომ ახალი ხუთწლედი ეს იქნება ხარისხის ხუთწლედი. ამისათვის საჭიროა ყველა უბანზე გავაუმჯობესოთ ხარისხობრივი მუშაობის მაჩვენებლები. მარტო გეგმის შესრულება ჩვენს ეკონომიკას წინ ვერ წასწევს, თუ არ განვამტკიცეთ რენტაბელობა. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ერთ კვადრატულ მეტრ საწარმოო ფართობზე მივიღოთ რაც შეიძლება მეტი პროდუქცია, მინიმუმამდე შევამციროთ არასაწარმოო ხარჯები, უაირათიანად ვხარჯოთ მასალები და ნედლეული, პროდუქციის მთელ მატება მივიღოთ შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით, უნდა შევამციროთ გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება. ყველაფერი ეს თუ გავაკეთეთ, მივიღებთ დიდ ეკონომიას, ეს კი საშუალებას მოგვცემს გავზარდოთ პრემიებისა და ერთიანიერული დახმარების ფონდები, ნაყოფიერი შრომის სიკეთეს ყველა იგრძნობს, მეტი იქნება დაინტერესება მაღალნაყოფიერი შრომისათვის.

სხდომაზე გამოვიდა კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი ა. გელაშვილი. მან აღნიშნა, რომ აშხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თავის სიტყვაში. მოსკოვის ბაუმანის სახელმწიფო ოლქის ამომრჩეველებთან სოციალისტური შეჯიბრების ყველა მონაწილის განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმას, რომ საჭიროა არა უბრალოდ მეტის გაკეთება, არამედ უკეთესისა და უფრო ეკონომიურის გაკეთებაც. ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების მთავარი პრობლემა უნდა გახდეს მთელი მუშაობის ხარისხის ამაღლება.

დაუკვირდით, რა დრმა შინაარსია ამ სიტყვებში. აქ დამსწრეებს კარგად გვახსოვს, უბარისხო მუშაობამ, მასალებისა და ნედლეულის უყაირათოდ გამოყენებამ რა მდგომარეობამდე მიიყვანა ჩვენი ქარხანა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბოლო წლების პლენუმების გადაწყვეტილებებიდან ჩვენი ქარხნის კოლექტივმა კარგი დასკვნები გააკეთა, წარმოებაში მდგომარეობა შესამჩნევად გაუმჯობესდა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გამოუყენებელი რეზერვები, ყველა უბანზე მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლები დამაკმაყოფილებელი არ არის. ყრილობის აღსანიშნავად ჩვენ უნდა მოვიფიქროთ ახალი ინიციატივა, რომელიც გაუმჯობესებს ქარხნის ტექნიკურ-ეკონომიურ მაჩვენებლებს.

ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს ბრიგადა გადავიდეს სამეურნეო ანგარიშზე, რაც გაადიდებს თვითეული მუშის დაინტერესებას იმუშაოს უფრო ნაყოფიერად და ამის შედეგად ბრიგადამ ხელფასის ნახევარი მიიღოს დაზოგილი თანხებიდან.

ჩვენს ბრიგადაში 20 კაცი მუშაობს. თვითეულის საშუალო გამომუშავება 250 მანეთს უდრის, წლიური ხელფასის ფონდი კი 60 ათას მანეთს აჭარბებს. ბრიგადის წევრებმა ამ თაოსნობის შესახებ გულდასმით მოვილაპარაკეთ, ღრმა ანალიზი გავუკეთეთ წინა თვეებში გაწეული მუშაობის შედეგებს და დავრწმუნდით, რომ დაპირების შესრულება თავისუფლად შეგვიძლია.

ხსდომაზე ერთხმულოვნად მოწონეს ბრიგადის თაოსნობა და გადაწყვეტეს მოწოდებით მიმართონ რესპუბლიკის საწარმოთა კოლექტივებს, რომ ფართოდ დაუჭირონ მხარი ამ ინიციატივას, გაიმალოს სოციალისტური შეჯიბრება დევიზით: ფართოდ დავნერგოთ ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი, უაირათიანად ვხარჯოთ ნედლეული და მასალები, დავნერგოთ რაციონალიზატორული წინადადებები, გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება, გავაკეთოთ იმდენი ეკონომია, რომ დაფაროს ბრიგადის მიერ წლიურად გამომუშავებული ხელფასის ნახევარი.

ზ. ჯამასპიშვილი.

200.000 ტონა მარცვლისათვის

შემჭიდროებულ ვადებში, უდანაკარგოდ!

ლენინგრადელები მხარს უჭერენ ხოგელ მესიმინდეთა ინიციატივას

სიმინდის მოსავლის აღების გადამწყვეტი პერიოდი დადგა. ცნობილია, რომ რაც მეტ შემჭიდროებულ ვადებში ავიღებთ მოსავალს, მით უფრო ნაკლები გვექნება დანაკარგები. ხობელ მესიმინდეთა მაგალითისამებრ გადავწყვიტეთ მთელ ფართობზე მოსავალი უდანაკარგოდ ავიღოთ 20 კალენდარულ დღეში, სახელმწიფოს მივიყიდოთ 3.500 ტონა სიმინდის მარცვალი ნაცვლად აღრე ნაკისრი 3.000 ტონისა და ვეგმით გათვალისწინებული 1.700 ტონისა.

მოსავლის აღების უკეთესი ორგანიზაციისა და კოორდინაციისათვის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, რაისაბჭოს აღმასკომში, სოფლის მეურნეობის სამმართველოში შეიქმნა ოპერატიული შტაბები.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრებები.

სიმინდის უდანაკარგოდ და მოკლე ვადებში აღების მიზნით კომკავშირულებმა, ახალგაზრდობამ გადაწყვეტეს დახმარება გაუწიონ საზოგადოებრივ მეურნეობებს, სიმინდის მოსავალი აიღონ 1.000 ჰექტარზე. რაიონის საავტომყოფოს მუშა-მოსამსახურეები თავისუფალ დროს სიმინდის აღებაში იმუშავებენ ორაგვის კოლმეურნეობაში, ავტოსატრანსპორტო კონტორის მშრომელები — შუხუთის კოლმეურნეობაში, სოფლტექნიკის მუშა-მოსამსახურეები ჭანჭათის კოლმეურნეობაში და სხვ.

სიმინდის მოსავლის აღებისთანავე, სადაც შესაძლებელია, გავთიბავთ თივას. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნასიმინდარ 1.500 ჰექტარზე დავთესავთ შვრიას იმ ვარაუდით, რომ მომავალი წლის გაზაფხულზე მივიღოთ სულ მცირე 14 ათასი ტონა მწვანე მასა, რომელსაც სენაჟის დასამზადებლად გამოვიყენებთ. 200 ჰექტარზე დათესება აგრეთვე ტურნეფსი.

— არ დაკარგოთ არც ერთი კილოგრამი მარცვალი, არც ერთი კილოგრამი ჩალა და თივა, სახელმწიფოს მივყიდოთ მაღალხარისხოვანი მარცვალი, სანიმუშოდ გამოვაზამთროთ პირუტყვი! — ასეთია ლენინგრადელთა პირობა.

ლენინგრადის რაიონის აქტივის დავალებით:

დ. გოგუაძე — პარტიის ლენინის რაიკომის მეორე მდივანი, **რ. ებრალიძე** — რაიხაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, **ვ. მენაღარიშვილი** — ხოფლის მეურნეობის ხამმართველოს უფროსი, **ა. ლომაძე** — კომკავშირის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი, **პ. შეკვარდენაძე** — მამათის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **ი. კეკელიძე** — ჭანჭათის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **ვ. ლლონტი** — ლენინის ხაბჭოთა მეურნეობის დირექტორი, **ი. ხალვაში** — შუხუთის კოლმეურნეობის ბრიგადირი, **ე. ტვაბაძე** — ეწრის კოლმეურნეობის მესიმინდე.

ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა პორტუგალიის პრეზიდენტს ფ. კოშტა გომეშს

ბ ოქტომბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო პორტუგალიის რესპუბლიკის პრეზიდენტი გენერალი ფრანსისკუ და კოშტა გომეში, რომელიც ოფიციალური ვიზიტით იმყოფება საბჭოთა კავშირში.

ლ. ი. ბრეჟნევმა და ფ. კოშტა გომეშმა ერთმანეთის გაუაზრეს აზრი საბჭოთა კავშირისა და პორტუგალიის ურთიერთობის განვითარების ძირითად მიმართულებებზე, აგრეთვე ევროპისა და მსოფლიოს ვითარებაზე. საუბარში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო.

ფ. კოშტა გომეშმა ილაპარაკა 1974 წლის 25 აპრილის რევოლუციის შემდეგ პორტუგალიის დემოკრატიულ განვითარებაზე, იმ ღონისძიებებზე, რომლებიც ქვეყანაში ხორციელდება მდგომარეობის სტაბილიზაციისა და ხალხის ცხოვრებაში პროგრესულ გარდაქმნათა განმტკიცების მიზნით.

ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა ადამიანებმა მზურვალე სიმპათიისა და სოლიდარობის გრძნობით აღიქვეს ფაშისტური დიქტატურისაგან პორტუგალიის განთავისუფლება. მან წარმატებები უსურვა მუშებს, გლეხებს, ჯარისკაცებს, მატროსებს, ოფიცრებს, მთელ დემოკრატიულ ძალებს, რომლებიც თავისუფალ და დამოუკიდებელ პორტუგალიას აშენებენ.

ლ. ი. ბრეჟნევმა და ფ. კოშტა გომეშმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირ-პორტუგალიის ურთიერთობაში მოკლე დროში მნიშვნელოვანი პროგრესია მიღწეული. მათ განაცხადეს, რომ საბჭოთა კავშირსა და პორტუგალიას მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც იარონ მეგობრობისა და ყოველმხრივი საქმიანი თანამშრომლობის განვითარების გზით სუვერენული თანასწორობის, ურთიერთპატივისცემის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის საფუძველზე.

განსაკუთრებით აღინიშნა, რომ არავინ არ უნდა შეეცადოს უკარნახოს სხვა ხალხებს, როგორ მოაწყონ თავიანთი საშინაო საქმეები. თვითეული სახელმწიფოს ხალხს აქვს სუვერენული უფლება თვითონ წყვეტდეს თავის ბედს.

საუბრის დროს აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირი და პორტუგალია მზად არიან გააფართოონ თავიანთი თანამშრომლობა საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების, დაძაბულობის შენელების პროცესის გაღრმავების, საერთაშორისო პრაქტიკაში მშვიდობიანი თანამშრომლობის პრინციპების დამკვიდრების ინტერესებისათვის. ამ საქმეში, მხარეთა მტკიცე ნებისმიერი, უპირველესი მნიშვნელობა ექნება ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირზე მიღწეულ შეთანხმებათა განხორციელებას.

ორივე მხარემ გამოთქვა კმაყოფილება, რომ პორტუგალიის რესპუბლიკის პრეზიდენტის საბჭოთა კავშირში ვიზიტის დროს შეთანხმებულია მნიშვნელოვანი ერთობლივი დოკუმენტები: საბჭოთა კავშირ-პორტუგალიის დეკლარაცია, კულტურისა და მეცნიერების დარგში თანამშრომლობის შეთანხმება, გრძელვადიანი ეკონომიკური, მეცნიერული და ტექნიკური თანამშრომლობის შეთანხმება, საბჭოთა კავშირ-პორტუგალიის კომუნიკე.

საუბარმა მეგობრულ, საქმიან ატმოსფეროში ჩაიარა.

ა. ნ. კოსიგინი ესაუბრა გ. სტევერს

ბ ოქტომბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მრჩეველი მეცნიერების საკითხში, ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორი გ. სტევერი, რომელიც მეთაურობს ამერიკის დელეგაციას საბჭოთა კავშირ-ამერიკის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის მე-4 სესიაზე. გ. სტევერმა გამოთქვა კმაყოფილება სესიის მუშაობის შედეგების გამო. საუბრის დროს მხარეები შეეხნენ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ეკონომიური და მეცნიერული თანამშრომლობის მთელ რიგ საკითხებს.

დიდი დამსახურებისათვის

ბ ოქტომბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ ორმენი ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“ გადასცა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტს ა. პ. ვინოგრადოვს.

სოციალისტური შრომის გმირის სპატიო წოდება მეცნიერს მეორედ მიენიჭა საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის, მეცნიერთა ჯილდების მომზადებისათვის და დაბადების მე-80 წლისთავის გამო.

ნ. ვ. პოდგორნიმ განმარტებადად მიულოცა ა. პ. ვინოგრადოვს. უსურვა ჯანმრთელობა, დიდი პირადი ბედნიერება და წარმატებები სამშობლოს საკეთილდღეოდ შემდგომ შემოქმედებითს მოღვაწეობაში. (საკდესი).

კოსმოსური ხომალდების „სოიუზისა“ და „აპოლონის“ ფრენის არავითარი საინჟინრო და სამეცნიერო ამოცანები რომ არ ჰქონოდა დაკისრებული, მაგ მაინც უნდა მოგვეხდინა, რადგან მან შექმნა საბჭოთა და ამერიკელი კოსმონავტების, ინჟინრებისა და კოსმოსური აპარატების მართვის სპეციალისტების განსაკუთრებული ნდობის კლიმატი“, — თქვა ამერიკის აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს საზოგადოებრივობის ინფორმაციის სამსახურის ხელმძღვანელმა ჯონ დონელიმ, რომელმაც შეაფასა საბჭოთა კავშირ-ამერიკის კოსმონავტების ერთობლივი ფრენის მნიშვნელობა.

ეს აზრი საუკეთესოდ ასახავს იმ მეგობრულ ატმოსფეროს, რომელშიც მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის ქალაქებში „სოიუზ-აპოლონის“ ინტერნაციონალური ეკიპაჟის მოგზაურობა.

3 ოქტომბერს თბილისის სტუმრები იყვნენ საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეას. ქართული სახვითი ხელოვნების ოსტატები განსაკუთრებით გულთბილად შეხვდნენ თავიანთ კოლეგას ალექსი ლეონოვს, რომელიც სსრ კავშირის მხატვართა კავშირის წევრია. კოსმონავტებს მეესალმა რესპუბლიკის მხატვართა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ნ. ჯანბერიძე.

ალექსი ლეონოვი იმ დღეს გიდის როლს ასრულებდა სურათების გალერეაში საბჭოთა და ამერიკელი მხატვრების ნამუშევართა გამოფენაზე „ადამიანი და კოსმოსი“, რომელიც უკვე ექსპონირებული იყო ვარსკვლავთა ქალაქში.

თომას სტაფორდმა, ვენს ბრანდმა, დონალდ სლეიტონმა, ალექსი ლეონოვმა და ვალერი კუბასოვმა თავიანთი აიტოგრაფები დატოვეს სურათზე „შეპირაპირება“, რომელიც შექმნეს მხატვრებმა მ. მალაზონიამ, ზ. კაპანაძემ, ზ. ლეჟავამ.

გამოფენის საზეიმო გახსნას დაესწრო ქართველ მთამსვლელთა ჯგუფი, რომლებიც ახლახან ავიდნენ პამირის ერთ-ერთ 6.100 მეტრი სიმაღლის უსახელო მწვერვალზე. მიმართა რა ამერიკელ ასტრონავტებსა და საბჭოთა კოსმონავტებს, საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის ხელმძღვანელმა ო. გიგინეიშვილმა განაცხადა, რომ ამ მწვერვალს დაარქვა „სოიუზ-აპოლონი“ ამ ასტრონავტების სახელზე, რომელიც მოხდა ორბიტაზე საბჭოთა და ამერიკული ხომალდების შეერაპირების დღეს. მთამსვლელებმა ასტრონავტთა გულად ხუთეულს გადასცეს სამახსოვრო მედლები. ისინი აირჩიეს საქართველოს ალპინისტთა კლუბის საპატიო წევრებად.

ჯადრაკის კომპოზიტორთა თბილისში მიმდინარე მე-18 საერთაშორისო კონგრესის მონაწილეთა დავალებით „სოიუზ-აპოლონის“ ეკიპაჟს მიესალმა მსოფლიო ექსჩემპიონი მ. ბოტვინიკი.

შემდეგ კოსმოსური ხომალდების ეკიპაჟები სტუდენტებსა და მასწავლებლებს შეხვდნენ თბილისის სამხატვრო აკადემიაში.

სტუმრებმა დაათვალიერეს სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა, რომელიც შვიდ დარბაზში განლაგებული. ერთობლივი ექსპერიმენტული ფრენის ყველა მონაწილემ ხელი მოაწერა სპატიო დამთვალიერებელთა წიგნში. ალექსი ლეონოვმა თავისი აზრი ასე ჩაწერა: „ყველაფერი, რაც ენახეთ, დიდებულია“.

ერთსულოვან ეკიპაჟს გულთბილად შეხვდნენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები. აქ უჩვენეს დოკუმენტური ფილმი „კოსმოსში“, რომელიც „საბჭოთა კოსმონავტებმა და მათმა ამერიკელმა კოლეგებმა გადაიღეს. ფილმის კომენტატორები იყვნენ თომას სტაფორდი და ალექსი ლეონოვი.

დაუვიწყარი იყო ეს დღე ქართველი ბავშვებისთვისაც, რომლებიც კოსმოსის ამირებს შეხვდნენ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში.

უაღრესად გულითადი იყო თბილისში, საბჭოთა კავშირში მოგზაურობის საბოლოო პუნქტში საერთაშორისო კოსმოსური ეკიპაჟის უკანასკნელი შეხვედრები. თუმცა კოკისპირული წვიმა იყო, რომელიც ზედიზედ ორ დღე-ღამეს არ შეწყვეტილა, თბილისელები გულთბილად მეუსალმებოდნენ სტუმრებს.

— **ყველა ქალაქში, სადაც კი ვიყავით,** — **განაცხადა საქინფორმის კორესპონდენტის მ. შვარცმანისათვის მიცემულ ინტერვიუში თომას სტაფორდმა,** — **ვცდილობდი საბჭოთა ადამიანებისათვის რუსულად მიმემართა. მაგრამ დღეს, ქართულ მიწა-წყალზე გულითადად შეხვედრის შემდეგ რუსული სიტყვები არ მყოფნის, რათა გამოვხატო ჩემი მადლობა.**

— **სავსებით ვეთანხმები ჩემს მეგობარს თომასს,** — **დასძინა ალექსი ლეონოვმა,** — **საქართველოს მცხოვრებთა სტუმართმოყვარეობა** — **ეს უკვე ქრესტომათიული ფაქტია. პირადად ჩემთვის თბილისს ხილვა არის ხილვა ქალაქისა, სადაც ჩინებულად არის შეხამებული შრომისმოყვარეობა და ნება, და ისინი ერთიანან მონოლითს შეადგენენ.**

— **როგორია თქვენი საერთო შთაბეჭდილება ქვეყანაში მოგზაურობის გამო?**

სტაფორდი: არცერთი ქალაქი, სადაც კი ვიყავით, არ ჰგავს ერთმანეთს, მაგრამ ერთი რამ ტუალებივით ამკვანძებს ჩვენ — ეს არის ადამიანთა სტუმართმოყვარეობა, მათი „გულითადობა და გულუხვობა.

ლეონოვი: საბჭოთა კავშირში ჩვენი მოგზაურობა კოსმოსში ერთობლივი მუშაობის ბუნებრივი განგრძობა იყო.

— **როგორია თქვენი ერთობლივი მომავლის გეგმები?**

სტაფორდი: თუ მხედველობაში გავქვთ კოსმოსში სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების თანამშრომლობის განგრძობა, მზად ვარ ალეოშასთან ერთად გავფრინდე მომავალ ორშაბათს. მაგრამ, მოდით, ვიყოთ რეალისტები — ჯერ ამაზე ჩვენი ინჟინრები უნდა შეთანხმდნენ.

ლეონოვი: ჯერ ერთი, ჩვენი ერთობლივი მოგზაურობა დედამიწაზე არ დაგვიმთავრებია. ერთი კვირის შემდეგ მთელი ჩვენი ხუთეული გაემგზავრება ამერიკის შეერთებულ შტატებში. მეორე, ჩვენ კიდევ დეტალურად უნდა გავაანალიზოთ ფრენა და ერთმანეთს გავუზიაროთ შედეგები. დაბოლოს, რომ არ დავკარგო ამ ატმოსფერო, ფერები, რომლებიც დამახსოვრდა ფრენა, ვჩქარობ გულმოდგინედ ჩავუჯდე მოლბერტს და დავამთავრო ჯერ კიდევ ორბიტაზე დაწყებული სურათების ციკლი „სოიუზ-აპოლონი“.

— **საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს გაზეთები თქვენ „ერთიან კოსმოსურ ოჯახს“ გიწოდებდნენ. ადასტურებთ თუ არა ამას?**

სტაფორდი: ეს მართლაც ასეა. ძალიან დავმეგობრდით, და ამავე დროს განვამტკიცეთ ეს მეგობრობა ხელმოწერებით, რომლებიც დავტოვეთ თქვენს მიწა-წყლის წმიდათაწმინდა ადგილებში — კრეისერ „აერორაზე“, ლენინგრადის დამცველთა ძეგლთან, მამაის ყორანზე. გარდა ამისა, სოჭში უკვე მეორე დღეა ხარობს ჩვენ მიერ დარგული მაგნოლია — მეგობრობის ხე.

ლეონოვი: კოსმოსში შობილი ჩვენი მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა დედამიწაზე. გუშინ დავეესწარი ტელეფონით თომას სტაფორდის სამ საუბარს — ჰიუსტონთან, თავის კოლეგებთან. ისინი აღფრთოვანებით იუწყებოდნენ, რომ ამერიკის პრესა და ტელევიზია ფართოდ აშუქებენ საბჭოთა ადამიანებთან ამერიკელ ასტრონავტთა მეგობრულ შეხვედრებს. ეს დიდი საქმის კარგი დასაწყისია, მითხრა თომასმა და დასძინა: „მაშასადამე, ფუჭად არ გვშრომია კოსმოსში“.

თავიანთი შთაბეჭდილებები გაგვიზიარეს ამერიკელი ასტრონავტების ოჯახის წევრებმა.

— **ძალიან მიხარია, რომ ინტერნეტი ფრენა — „სოიუზისა“ და „აპოლონის“ ხომალდების ფრენა, ქალის საერთაშორისო წლის ნიშნით მიმდინარეობდა,** — **განაცხადა მარგარეტ სლეიტონმა.**

ყველა ქალი აღფრთოვანებულია ამ მოგზაურობით. ჯონ ბრანდი უაღრესად მადლიერია ამისათვის, რომ საბჭოთა კავშირში ასტრონავტთა შვილებიც მიიწვიეს. იგი აღფრთოვანა პიონერთა სასახლემ. განსაკუთრებით გაოცა იმ ზრუნვამ, რომლითაც საბჭოეთში გარემოსილი არიან ბავშვები. (საქინფორმი).

ოთხას სტაფორდი:

სიტყვები არ მყოფნის

ლოს სამახსოვროდ, რომელიც მოხდა ორბიტაზე საბჭოთა და ამერიკული ხომალდების შეერაპირების დღეს. მთამსვლელებმა ასტრონავტთა გულად ხუთეულს გადასცეს სამახსოვრო მედლები. ისინი აირჩიეს საქართველოს ალპინისტთა კლუბის საპატიო წევრებად.

ჯადრაკის კომპოზიტორთა თბილისში მიმდინარე მე-18 საერთაშორისო კონგრესის მონაწილეთა დავალებით „სოიუზ-აპოლონის“ ეკიპაჟს მიესალმა მსოფლიო ექსჩემპიონი მ. ბოტვინიკი.

შემდეგ კოსმოსური ხომალდების ეკიპაჟები სტუდენტებსა და მასწავლებლებს შეხვდნენ თბილისის სამხატვრო აკადემიაში.

სტუმრებმა დაათვალიერეს სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა, რომელიც შვიდ დარბაზში განლაგებული. ერთობლივი ექსპერიმენტული ფრენის ყველა მონაწილემ ხელი მოაწერა სპატიო დამთვალიერებელთა წიგნში. ალექსი ლეონოვმა თავისი აზრი ასე ჩაწერა: „ყველაფერი, რაც ენახეთ, დიდებულია“.

ერთსულოვან ეკიპაჟს გულთბილად შეხვდნენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები. აქ უჩვენეს დოკუმენტური ფილმი „კოსმოსში“, რომელიც „საბჭოთა კოსმონავტებმა და მათმა ამერიკელმა კოლეგებმა გადაიღეს. ფილმის კომენტატორები იყვნენ თომას სტაფორდი და ალექსი ლეონოვი.

დაუვიწყარი იყო ეს დღე ქართველი ბავშვებისთვისაც, რომლებიც კოსმოსის ამირებს შეხვდნენ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში.

უაღრესად გულითადი იყო თბილისში, საბჭოთა კავშირში მოგზაურობის საბოლოო პუნქტში საერთაშორისო კოსმოსური ეკიპაჟის უკანასკნელი შეხვედრები. თუმცა კოკისპირული წვიმა იყო, რომელიც ზედიზედ ორ დღე-ღამეს არ შეწყვეტილა, თბილისელები გულთბილად მეუსალმებოდნენ სტუმრებს.

— **ყველა ქალაქში, სადაც კი ვიყავით,** — **განაცხადა საქინფორმის კორესპონდენტის მ. შვარცმანისათვის მიცემულ ინტერვიუში თომას სტაფორდმა,** — **ვცდილობდი საბჭოთა ადამიანებისათვის რუსულად მიმემართა. მაგრამ დღეს, ქართულ მიწა-წყალზე გულითადად შეხვედრის შემდეგ რუსული სიტყვები არ მყოფნის, რათა გამოვხატო ჩემი მადლობა.**

— **სავსებით ვეთანხმები ჩემს მეგობარს თომასს,** — **დასძინა ალექსი ლეონოვმა,** — **საქართველოს მცხოვრებთა სტუმართმოყვარეობა** — **ეს უკვე ქრესტომათიული ფაქტია. პირადად ჩემთვის თბილისს ხილვა არის ხილვა ქალაქისა, სადაც ჩინებულად არის შეხამებული შრომისმოყვარეობა და ნება, და ისინი ერთიანან მონოლითს შეადგენენ.**

— **როგორია თქვენი საერთო შთაბეჭდილება ქვეყანაში მოგზაურობის გამო?**

სტაფორდი: არცერთი ქალაქი, სადაც კი ვიყავით, არ ჰგავს ერთმანეთს, მაგრამ ერთი რამ ტუალებივით ამკვანძებს ჩვენ — ეს არის ადამიანთა სტუმართმოყვარეობა, მათი „გულითადობა და გულუხვობა.

ლეონოვი: საბჭოთა კავშირში ჩვენი მოგზაურობა კოსმოსში ერთობლივი მუშაობის ბუნებრივი განგრძობა იყო.

— **როგორია თქვენი ერთობლივი მომავლის გეგმები?**

სტაფორდი: თუ მხედველობაში გავქვთ კოსმოსში სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების თანამშრომლობის განგრძობა, მზად ვარ ალეოშასთან ერთად გავფრინდე მომავალ ორშაბათს. მაგრამ, მოდით, ვიყოთ რეალისტები — ჯერ ამაზე ჩვენი ინჟინრები უნდა შეთანხმდნენ.

ლეონოვი: ჯერ ერთი, ჩვენი ერთობლივი მოგზაურობა დედამიწაზე არ დაგვიმთავრებია. ერთი კვირის შემდეგ მთელი ჩვენი ხუთეული გაემგზავრება ამერიკის შეერთებულ შტატებში. მეორე, ჩვენ კიდევ დეტალურად უნდა გავაანალიზოთ ფრენა და ერთმანეთს გავუზიაროთ შედეგები. დაბოლოს, რომ არ დავკარგო ამ ატმოსფერო, ფერები, რომლებიც დამახსოვრდა ფრენა, ვჩქარობ გულმოდგინედ ჩავუჯდე მოლბერტს და დავამთავრო ჯერ კიდევ ორბიტაზე დაწყებული სურათების ციკლი „სოიუზ-აპოლონი“.

— **საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს გაზეთები თქვენ „ერთიან კოსმოსურ ოჯახს“ გიწოდებდნენ. ადასტურებთ თუ არა ამას?**

სტაფორდი: ეს მართლაც ასეა. ძალიან დავმეგობრდით, და ამავე დროს განვამტკიცეთ ეს მეგობრობა ხელმოწერებით, რომლებიც დავტოვეთ თქვენს მიწა-წყლის წმიდათაწმინდა ადგილებში — კრეისერ „აერორაზე“, ლენინგრადის დამცველთა ძეგლთან, მამაის ყორანზე. გარდა ამისა, სოჭში უკვე მეორე დღეა ხარობს ჩვენ მიერ დარგული მაგნოლია — მეგობრობის ხე.

ლეონოვი: კოსმოსში შობილი ჩვენი მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა დედამიწაზე. გუშინ დავეესწარი ტელეფონით თომას სტაფორდის სამ საუბარს — ჰიუსტონთან, თავის კოლეგებთან. ისინი აღფრთოვანებით იუწყებოდნენ, რომ ამერიკის პრესა და ტელევიზია ფართოდ აშუქებენ საბჭოთა ადამიანებთან ამერიკელ ასტრონავტთა მეგობრულ შეხვედრებს. ეს დიდი საქმის კარგი დასაწყისია, მითხრა თომასმა და დასძინა: „მაშასადამე, ფუჭად არ გვშრომია კოსმოსში“.

თავიანთი შთაბეჭდილებები გაგვიზიარეს ამერიკელი ასტრონავტების ოჯახის წევრებმა.

— **ძალიან მიხარია, რომ ინტერნეტი ფრენა — „სოიუზისა“ და „აპოლონის“ ხომალდების ფრენა, ქალის საერთაშორისო წლის ნიშნით მიმდინარეობდა,** — **განაცხადა მარგარეტ სლეიტონმა.**

ყველა ქალი აღფრთოვანებულია ამ მოგზაურობით. ჯონ ბრანდი უაღრესად მადლიერია ამისათვის, რომ საბჭოთა კავშირში ასტრონავტთა შვილებიც მიიწვიეს. იგი აღფრთოვანა პიონერთა სასახლემ. განსაკუთრებით გაოცა იმ ზრუნვამ, რომლითაც საბჭოეთში გარემოსილი არიან ბავშვები. (საქინფორმი).

თბილისიდან გაემგზავრნენ

ბ ოქტომბერს, საღამოს ამერიკელი ასტრონავტები და საბჭოთა კოსმონავტები თბილისიდან მოსკოვს გაემგზავრნენ.

ისევე როგორც ჩამოსვლის დღეს, ახლაც აეროდრომზე უამრავი ხალხი იყო. სტუმრები კარგ გუნებაზე იყვნენ. ისინი დიდ მადლობას იხდიდნენ გულწრფელი მასპინძლობისა და სტუმართმოყვარეობისთვის.

ხომალდ „აპოლონის“ მეთაურმა ბრიგადის გენერალმა თომას სტაფორდმა საფრენ მოედანზე შეკრებილთ უთხრა, რომ მას დიდხანს დაახსოვდება საქართველოს დედაქალაქში სტუმრობა.

მისმა კოსმოსურმა ძმადნაფიცმა, ხომალდ „სოიუზის“ მეთაურმა გენერალ-მაიორმა ალექსი ლეონოვმ

ცოდნა, იდეური რწმენა — ხუთწლედს!

გვწერენ ჩვენი კორესპონდენტები

კარგად დაიწყეს

ქუთაისი, (საკ. კორ.). სამუშაო რომ დამთავრდა, მხეზავა ი. წერეთელმა, მრანდავმა კ. თოფურიამ, ხარატმა ბ. აბულაძემ, ამწყობ-ზეინკალმა ზ. კუბლაშვილმა და სხვებმა წათელ ქუთხეში მოიყარეს თავი, ყველა კარგად იცნობს ბონდო გაბარჩიძეს, იგი სამუშაოზე მათი ხელმძღვანელია, მაგრამ ამჯერად თანამოსაქმეების წინაშე წარსდგა როგორც პროპაგანდისტი.

პირველი მეცადინეობის თემაა: „შრომა განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში“.

ასე დაიწყო ახალი სასწავლო წელი ქუთაისის ელექტრომექანიკურთა ქარხნის საიარაღო საამქროს კომუნისტური შრომის სკოლაში, რომელშიც 21 მსმენელია გაერთიანებული.

წლეულს ახალი სასწავლო წლის ამოცანების შესაბამისად ქარხანაში შეირჩა სწავლების ფორმები, დაკომპლექტდა პარტიული და ეკონომიური განათლების 23 სკოლა და სემინარი, ერთი სახალხო უნივერსიტეტი, რომლებშიც გაერთიანებულია 600-მდე მსმენელი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მშრომელთა ეკონომიურ განათლებას.

თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ნათელი დადასტურება ის ფაქტი, რომ პროპაგანდისტებმა ფართოდ დაუჭირეს მხარი მოსკოველ პროპაგანდისტთა ინიციატივას იმუშაონ დეკეთი — „პროპაგანდისტის ცოდნა, იდეური მრწამსი, ორგანიზატორული ნიჭი — ხუთწლედის სამსახურში“.

დ. გედენიძე.

პარტია გვასწავლის გამარჯვებას

ქარელი. („კომუნისტის“ ხეც. კორ.). პარტიული და ეკონომიური განათლების ქსელში სასწავლო წელი დაწყებულ ნინ საქართველოს შაქრის კომბინატის (აგარა) პარტკომის მდივანმა ა. სამსონაშვილმა გვიამბო:

— 30 სექტემბერს ქართველ მეშაქრეთა კოლექტივმა გამოუშვა წლეულადი შაქრის ჭარხლის მოსავლის პირველი პროდუქცია — 330 ცენტნერი შაქარი. გამათეორებელ დანადგარს მართავდა ოპერატორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნ. ბერიძე. შაქარი წვიდა საშობრ საამქროში... და ქარხანა სრული დატვირთვით ამუშავდა. ეს უწყვეტი მუშაობა სამ თვეს გაგრძელდება. ქართველ მეშაქრეთა 800-კაციანი კოლექტივი წლეულს გამოუშვებს 10.500 ტონა ხარისხოვან შაქარს. პირველი პროდუქცია გამოუშვეს კ. დახოვსკისა და ი. ნასყიდაშვილის ცვლებმა, რომლებშიც ბევრია პოლიტიკური და ეკონომიური განათლების ფრიადოსანი.

...და, აი დაიწყო პირველი მეცადინეობა სემინარში, რომლის საგანია: „სკკპ — კომუნისტური მშენებლობის ხელმძღვანელი და მაორგანიზებელი ძალა“. პროპაგანდისტმა გ. თედიაშვილმა, რომელიც პირველ მეცადინეობაზე მეთერთმეტედ წარსდგა მსმენელთა წინაშე, კარგად გამოიყენა სწავლების ფორმა ლექციათ-საუბარი. მან პროგრამით გათვალისწინებული ორი საათი დაუთმო პირველ თემას „მარქსიზმ-ლენინიზმი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის შესახებ“. იგი ზეპირად, შთამბეჭდავად ლაპარაკობდა. მისი ლექციათ-საუბარი კარგი მონათხრობი იყო კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ როლზე, პარტიის დიად საქმეთა რეალიზაციურ-გარდამქმნელ მასშტაბებზე და ყოველივე ამის მართლაც რომ მჭიდროდ უკავშირდება ადგილობრივ ცხოვრებას, პრაქტიკას.

მეცადინეობამ საერთოდ მაღალ იდეურ დონეზე ჩაიარა. მსმენელებმა მიიღეს პროპაგანდისტის რჩევა იმის შესახებ, თუ რომელი ლიტერატურით ისარგებლონ, როგორ იმუშაონ დამოუკიდებლად პირველ წყაროებზე.

საგულისხმოა, რომ მეცადინეობის შემდეგ პროპაგანდისტს ზოგიერთი რჩევა-დარიგება მისცეს პარტიის ქარელის რაიკომის პროპაგანდისტა და აგიტაციის განყოფილების გამგემ უ. მეფანწიშვილმა, რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგემ მ. სოხაძემ და შაქრის კომბინატის პარტკომის მდივანმა ა. სამსონაშვილმა.

პირველი მეცადინეობები ორგანიზებულად გაიმართა შაქრის კომბინატის პოლიტიკური და ეკონომიური განათლების სხვა სკოლებშიც, რომლებშიც 246 კაცია ჩაბმული.

ნ. ჟურაშვილი.

რატომ არ მოვიდნენ მსმენელები?

ადიგენი. (საკ. კორ.). სოფელ არლის საშუალო სკოლაში შარშან დაამთავრეს კომუნისტური აღზრდის საკითხების შემსწავლელი სემინარის ორწლიანი კურსი, წლეულს კი მსმენელთა სურვილით შეიქმნა სკკპ ისტორიის შემსწავლელი სემინარი. დანიშნულ დროს პირველ მეცადინეობაზე მოიყარეს თავი სემინარის მსმენელებმა. პროპაგანდისტმა გააცნო პროგრამა და მეცადინეობის თემა, შემდეგ ესაუბრა ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობაზე და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის გადაწყვეტილებებზე. მან საფუძვლიანად გაუშუქა ის ძირითადი საკითხები, რაც რესპუბლიკაში მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის წამოჭრა პლენუმმა, ილაპარაკა მეცხოველეობის განვითარების საქმეში ამ სოფლის კოლმეურნეობის ამოცანებზეც.

მეცადინეობა მართლაც შინაარსიანად და საინტერესოდ წარიმართა, მაგრამ ჭეშმარიტ ნაკლოვანებებიც: მას არ დაესწრო ყველა მსმენელი — 29 მსმენელდან 23 მოვიდა.

მეცადინეობაზე დასწრების მხრივ კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობა იყო საკოლმეურნეო პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან არსებულ პოლიტსკოლებში. მაგალითად, ეკონომიკისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის საფუძვლების შემსწავლელი სკოლის (პროპაგანდისტი ა. აფრიამაშვილი) ოცდასამი მსმენელიდან პირველი მეცადინეობა ცხრამ გააცდინა, მათ შორის კომუნისტებმა ივანე აფრიამაშვილმა, ანტონ ვარდიძემ, პეტრე მათოშვილმა, შოთა და გივი ჩილინგარაშვილებმა და სხვებმა, სამმა მსმენელმა კი დაიგვიანა. პირველ მეცადინეობას ბევრი მსმენელი აკლდა ავრეთვე იმ პოლიტსკოლებში, სადაც პროპაგანდისტებად არიან ა. ვარდიძე, ე. აფრიამაშვილი, ვ. თათეშვილი, ა. კაკაჩიშვილი.

მეცადინეობაზე მსმენელთა გამოუცხადებლობის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ პოლიტსკოლები სწორად არ არის დაკომპლექტებული. ასე მაგალითად, სოფელ წარბასუთანის თხუთმეტი კომკავშირელი რატომღაც გაეგზავნა სოფელ არდის კომკავშირულ-ახალგაზრდულ პოლიტსკოლებში. წარბასუთანიდან სოფელ არლამდე კი საკმაოდ დიდი მანძილია. პირველ ოქტომბერს თითქმის გადაუღებლად წვიმდა და ალბათ ამიტომაც მეცადინეობაზე არცერთი წარბასუთანელი მსმენელი არ დასწრებია.

არლის საკოლმეურნეო პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან სულ ათი პოლიტსკოლა შექმნილი. ეს, რომ ოთახები არ ჰყოფნიდათ, მხოლოდ მეცადინეობის დაწყების წინ გაჩდა ცნობილი. ამიტომ ზოგიერთ ოთახში სხვადასხვა პოლიტსკოლის მსმენელებს ერთად მოუხდათ პირველი მეცადინეობის ჩატარება.

პარტიის ადიგენის რაიონული კომიტეტის მსჯელობის საგანი უნდა გახდეს ეს ნაკლოვანებები.

შ. მაისურაძე.

ბეჯითად მეცადინეობის სურვილით

ცხაკაია. (საკ. კორ.). ნასოფლო მშენებლობის სამინისტროს ადგილობრივი № 5 ტრესტის კომუნისტებმა ცოდნის ამაღლება სოციალისტური წარმოების მეცნიერული მართვის საფუძვლების სკოლაში მოისურვეს. გავიდა სწავლების ორი წელი. 1 ოქტომბერს სკოლამ სწავლა განაახლა. მეცადინეობას ყველა მსმენელი დაესწრო.

პროპაგანდისტმა ჯ. პაპაწკირმა ილაპარაკა საბჭოთა საშვიდეობო პოლიტიკაზე, ევროპის სახელმწიფოთა ჰელსინკის თათბირსა და მის შედეგებზე; მსმენელები ერთხელ კიდე გაეცნენ ამ თათბირზე წარმოთქმულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის შესანიშნავ სიტყვას.

პირველ მეცადინეობას მეტ შინაარსს მატებდა ის ფაქტი, რომ № 5 ტრესტის კოლექტივმა ცხრა თვეში 8.035.800 მანეთის ნაცვლად 8.606.200 მანეთის სამუშაო შეასრულა, რაც გეგმის 107,1 პროცენტს შეადგენს.

მიმდინარე სასწავლო წელი ემთხვევა სკკპ XXV ყრილობისათვის მზადების, ყრილობის ჩატარების პერიოდს. ახლა დაძაბულად შრომობენ ვალდებულებათა განაღებისათვის. მშენებელმა კომუნისტებმა მეცადინეობაზე ამას განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი და ერთსულოვნად გადაწყვიტეს ისწავლონ უკეთესად, აითვისონ წარმოებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, გამოიყენონ ეს პრაქტიკულ მუშაობაში.

ბ. მილიუტინი.

დღეს გამოცოცხლება იყო 1 ოქტომბერს თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში. იწყებოდა ახალი სასწავლო წელი პოლიტგანათლების ქსელში.

საინტერესოდ, შინაარსიანად ჩატარდა პირველი მეცადინეობები საქსოვ, გამომყვანი წარმოების, მექანიკურ საამქროებში, გასაღების ბაზაში, ელექტრო-მექანიკურ და სართავ განყოფილებებში.

ხურათზე: პროპაგანდისტი გ. ქარხანაძე მექანიკურ საამქროში ატარებს პირველ მეცადინეობას.

ბ. ბოგრინას ფოტო.

პარტიული ცხოვრება

ანგარიშგება-არჩევნები პარტიულ ორგანიზაციებში

ამ ორი თვე წლის წინით ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში შეიქმნა თბილისის და რუსთავის მწვანე ზონის ტყეების სამმართველო, რომელსაც ბუნების დაცვის, მწვანე ზონის გაფართოების, გარემოს გაჯანსაღებისა და მშრომელთა მასობრივი დასვენების ორგანიზაციის კეთილშობილური მისია დაეკისრა.

სამმართველოს კოლექტივი ოპერატიულ ხელმძღვანელობას ახორციელებს თბილისისა და რუსთავის, მიდამოების, მათ ირგვლივ მდებარე რაიონების — მარნეულის, ბოლნისის, თეთრი წყაროს, საგარეჯოს, თიანეთის, დუშეთის, მცხეთის, გარდაბნისა და კასპის სატყეო მეურნეობების, სახელმწიფო სანერგეებისა და ტყეპარკების გეგმაზომიერი განაშენიანებისა და მათი „მწვანე ფილტვებად“ გადაქცევის საქმიანობაზე, ტყეების — ამ ბუნებრივი რესურსების — გაფართოებისა და დაცვის პრობლემებზე.

და აი მეტყველ კომუნისტებმა, ამჯერად უკვე მესამედ, შეიკრიბნენ თავიანთ ხაანგარიშო-სარჩევნო კრებაზე.

მოხსენებაში, რომელიც კრებამ ბიუროს მდივანმა ტ. პო

მსოფლიო დღეს

ამბები • ფაქტები

საკვლევი და უცხოეთის პრესის საგაგზავნოები იტყობინებიან

გაღვიძარჩინოთ ლ. კორვალანი!

ბრაზილია. სტუდენტთა საერთაშორისო კავშირმა მოითხოვა, რომ დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ ჩილეს კომპარტიის გენერალური მდივანი ლუის კორვალანი და სხვა ჩილელი პატრიოტები, რომლებიც სამხედრო-ფაშისტური ხუნტის დილეგებში იტანჯებიან. კავშირმა მოუწოდა მსოფლიოს პროგრესულ საზოგადოებრივობას გააძლიეროს სოლიდარობის კამპანია ჩილეს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლებთან.

პარიზი. ხერეოზული საფრთხე შეექმნა ჩილელ კომუნისტთა ხელმძღვანელის ლუის კორვალანისა და სახალხო ერთობის პოლიტიკურ მოღვაწეთა დიდი ჯგუფის სიცოცხლეს, წერს გაზეთი „ლუმანიტე“. იგი მოუწოდებს მსოფლიოს დემოკრატიულ და პროგრესულ ძალებს მთელი ძალ-ღონე მოახმარონ იმას, რომ ლუის კორვალანი და მისი თანამებრძოლნი გამოსტაცონ ხელიდან ფაშისტ მედელეგეებს.

ჰელსინკი. ფინელი ხალხის დემოკრატიული კავშირის სპარლამენტო ფრაქციამ აქ გაავრცელა განცხადება, რომელშიც სამარცხვინო ბიძაზე აკრავს ჩილეში ფაშისტურ ტერორს, მოითხოვს მის დაუყოვნებლივ შეწყვეტასა და ლუის კორვალანისა და სხვა ჩილელი პატრიოტების განთავისუფლებას.

დიდი დეფიციტი

ვაშინგტონი, (საკვლევი). შეერთებულ შტატებს წლითიწლობით ბიუჯეტის უზარმაზარი დეფიციტი აქვს.

1975 საფინანსო წელს, რომელიც 30 ივნისს დამთავრდა, დეფიციტმა შეადგინა 44,2 მილიარდი დოლარი. 1976 საფინანსო წლის ბიუჯეტის პროექტში მთავრობა თავდაპირველად გეგმავდა დეფიციტს 50 მილიარდი დოლარის ოდენობით. კონგრესში განხილვის შედეგად იგი განსაზღვრეს 59,9 მილიარდი დოლარით. მაგრამ უკვე ახლა ქვეყნის წამყვანი ეკონომისტები იძლევიან გაფრთხილებას, რომ ბიუჯეტის უარყოფითმა სალდომ შეიძლება მიაღწიოს 80-100 მილიარდ დოლარს.

ამერიკის შეერთებული შტატების ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტის ერთ-ერთი მიზეზია უზარმაზარი სამხედრო ხარჯები, რომლებიც ახლა მთელ სახიუჯეტო ასიგნებათა 30 პროცენტს შეადგენენ.

დეფიციტის დასაფარავად მთავრობა სესხს იღებს ეკრძო ბანკებისა და ფინანსური კომპანიებისაგან, რაც იწვევს სახელმწიფო ვალის შემდგომ გადიდებას. ამა წლის 30 ივნისისათვის იგი შეადგენდა 538,5 მილიარდ დოლარს, ხოლო 1976 წლის 30 ივნისისათვის, როგორც ბიუჯეტში გათვალისწინებულია, ეს ვალი 605,9 მილიარდ დოლარს მიაღწევს.

ყოველივე ეს ერთად აღებული არღვევს ეკონომიურ სტაბილურობას და აძლიერებს ინფლაციას, რომელიც მძიმე ტვირთად აწევია მშრომელებს.

საკვლევის მიმოხილვა

ფრანკიზმი სამარცხვინო პოკერ!

გასული კვირა ესპანეთის მმართველებისათვის ჭეშმარიტად „შავნელი კვირა“ იყო. მთელი მსოფლიოს მილიონობით ადამიანის ზიზღი, აღშფოთება, გულისწყრომა უდიდესი ძალით დაატყდა თავს ფრანკისტულ ჯალათებს, რომლებმაც სისხლიანი ტერორი მოუწყვეს პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს.

2 ოქტომბერს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის, ევროპის საერთაშორისო და ეროვნული პროფკავშირული ორგანიზაციების ინიციატივით, რომელსაც მხარი დაუჭირეს კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა, მათ შორის საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, ევროპის კონტინენტის ყველა ქვეყანაში გაიმართა ფრანკიზმის წინააღმდეგ, ესპანეთში თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის მოქმედების დღე. ხუთი ესპანელი ანტიფაშისტი პატრიოტის სიკვდილით დასჯის პასუხად უკვე 16 სახელმწიფომ გაიწვია მადრიდიდან თავისი ელჩები. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დაისვა საკითხი, რომ გარიცხონ ფრანკისტული ესპანეთი ამ ორგანიზაციიდან. მადრიდელ მმართველთა საერთაშორისო იზოლაცია დღითი დღე იზრდება.

ფართო საერთაშორისო სოლიდარობა ახალ ძალას შემატებს ესპანელ დემოკრატებს, მთაავარებს მათ თავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის საბრძოლველად.

ამავე დროს მძლავრმა პროტესტებმა უკიდურესად შეაშფოთეს მმართველი ზედა ფენა და თვით „კაუდილო“ როგორც საინფორმაციო სააგენტოები მადრიდიდან იუწყებიან, ფრანკო მეტად უგუნებოდ გამოიყურებოდა, როცა 1 ოქტომბერს წარმოთქვა სიტყვა, სადაც სცადა შეექნა შთაბეჭდილება, თითქოს მსოფლიოში დაწყებული პროტესტების ტალღა, არაფრად მიაჩნია. „მძლავრი გამაძლიერებლების მიუხედავად, ფრანკოს ხმა ძლივს ისმოდა, — იუწყება ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი. — დროდადრო საერთოდ ვერც კი გაარჩევდა, რას ლაპარაკობდა“.

მაგრამ, რა თქმა უნდა, საქმე მარტო დაბერებული დიქტატორის პიროვნება და ფიზიკური ძალების მდგომარეობა როდია. დაბერდა, უკურნებელი სენი სჭირს და საბოლოოდ დაძაბუნდა თვით ფრანკისტული რეჟიმი, უკანასკნელი იმ ფაშისტური რეჟიმებიდან, რომლებიც დარჩა დედამიწიერ ევროპაში ფრანკისტული დიქტატურა — ანტიხალხური, ღრმად მანკიერი თავისი წარმოშობიდანვე, რომელიც ესპანეთის მიწაწყალზე მხოლოდ ჰიტლერული გერმანიისა და ფაშისტური იტალიის წყალობით დამკვიდრდა, ევროპაში დაძაბულობის შენელების ახლანდელ პირობებში აშკარა ანაქრონიზმად გამოიყურება.

ახლანდელი ამბები ესპანეთსა და მის ფარგლებს გარეთ, უეჭველია, მოწმობენ, რომ საბერძნეთისა და პორტუგალიის ფაშისტური რეჟიმების შემდეგ ფრანკისტული რეჟიმი სწრაფად უახლოვდება საბოლოო კრახს. როგორც ახლახან მადრიდში ნამყოფი „ლუმანიტეს“ კორესპონდენტი წერდა „აგონიაში ჩავარდნილი ფრანკიზმი ჯერ კიდევ იყენებს თავის ეშვებსა და ბრჭყალებს, მაგრამ მისი დღეები დათვლილია“. ეს, რა თქმა უნდა, ასეც არის.

სეატოს კრახი

ამ დღეებში სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხელშეკრულების ორგანიზაციის საბჭოს ნიუ-იორკის სხდომაზე ამ აგრესიული ბლოკის მონაწილე ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა მიიღეს გადაწყვეტილება მისი თვითდათხოვნის შესახებ. ოფიციალურ კომუნიკაში სხდომის მონაწილეებმა აღიარეს, რომ თვითდათხოვნის გადაწყვეტილება გამოიწვია „ახალმა სიტუაციამ“ და „მეცვლელმა გარემოებებმა“ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ამით, განმარტავს ასოშიეიტედ პრესის სააგენტო, იგულისხმება „ინდოჩინეთის იმ რეჟიმების დაცემა, რომლებსაც მხარს უჭერს ამერიკის შეერთებული შტატები, აგრეთვე ფილიპინებისა და ტაილანდის აშკარად გამოხატული გაუნხრახვა — მხარი დაუჭირონ უფრო დაძაბულობის შენელების პოლიტიკას, ვიდრე კონფრონტაციის „მეზობელი ქვეყნების ურთიერთობებში“.

მართლაც, აზიის ამ ნაწილში ძირფესვიანად შეიცვალა სიტუაცია და გარემოებანი იმ პერიოდთან შედარებით, როცა 20 წლის წინათ ჯონ ფოსტერ დალესისა და იმპერიალისტური პოლიტიკის შემოქმედთა ინიციატივით იქმნებოდა ეს საშხედრო ბლოკი, რათა გასწორებოდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს აზიისა და წყნარი ოკეანის აუზში.

ინდოჩინეთის ხალხთა წინააღმდეგ იმპერიალისტური აგრესიის დროს სეატოს გამოყენებამ ამხილა მისი არსი. ბლოკიდან პაკისტანის გამოსვლის შემდეგ მის საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობაზე თანდათან ხელი აიღეს საფრანგეთმა, ავსტრალიამ, ახალმა ზელანდიამ. სეატოს სტრატეგიას მიიმე ლახვარი ჩასცა ვიეტნამელ, კამბოჯელ და ლაოსელ პატრიოტთა გამარჯვებამ, რომელთა სამართლიან საქმეს მხარი დაუჭირეს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებმა, მთელმა პროგრესულმა ძალებმა. მიმდინარე წლის ზაფხულში ტაილანდმა და ფილიპინებმა — ამ ბლოკის ორმა უკანასკნელმა სახელმწიფომ აზიაში წამოიაყენეს წინადადება შეეწყვიტათ მისი საქმიანობა.

სეატოს დათხოვნის გადაწყვეტილება, უეჭველია, მოწმობს იმპერიალისტთა აგრესიული საგარეო-პოლიტიკური კურსის უსუსურობას. მაგრამ, როგორც ფრანგულმა „მონდმა“ აღნიშნა, „შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა რომ სეატოს გაკრობა ასახავს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში დასავლეთის სტრატეგიის ძირეულ შეცვლას. იგი მხოლოდ ეგუება ახალ გარემოებებს“. იმპერიალისტები კვლავინდებურად ხელს აო იღებენ თავიანთ გეგმებზე, რასაც მოწმობს ის, რომ ისინი ინარჩუნებენ ძველ და აშენებენ ახალ სამხედრო ბაზებს, გააქტიურებენ სხვა სამხედრო ბლოკებს, კერძოდ სენტოს, აგრეთვე განაგრძობენ სამხედრო ძალების ყოფნას იაპონიაში, სამხრეთ კორეაში, ტაივანსა და ფილიპინებზე. თვალში გეცემათ, რომ იმპერიალისტების ასეთ კურსს სრული გაგებითა და მხარდაჭერით ეკიდება ჩინეთის მაოისტური ხელმძღვანელობა.

მაგრამ დაძაბულობის შენელებისადმი მზარდი ტენდენციის პირობებში აზიის ქვეყნების ხალხები სულ უფრო მეტ ინტერესს იჩენენ თავიანთ რეგიონში, მასში შემავალი ყველა სახელმწიფოს კოლექტიური მეცადინეობით მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის იდეასადმი.

ლიბანი: სროლა გრძელდება

ბეირუთი. (საკვლევი). განვლილ დღე და ღამეს ბეირუთის ორივე არა-რუმანული და შიახის რაიონებში მიმდინარეობდა სროლა და შეიარაღებული შეტაკებანი. გუშინ გიიტაცეს 135 კაცი, მაგრამ როგორც აღვილობრივი პრესა აღნიშნავს, მათი უმრავლესობა შემდეგ გაათავისუფლეს.

ქალაქის ცენტრალურ რაიონებში საქმიანი ცხოვრება პრაქტიკულად პარალიზებულია.

ქალაქის ქუჩებში ნნდება ახალი ბარიკადები, ბევრი გზა მოძრაობისათვის საშიშ გზად არის გამოცხადებული.

ბეირუთში პრეზიდენტ ს. ფრანჯიეს თავმჯდომარეობით გაიმართა მთავრობის ახალი სხდომა, რომელიც მიეძღვნა ვითარების ნორმალიზაციის ღონისძიებათა განხილვას.

სხდომის დამთავრების შემდეგ პრემიერ-მინისტრმა რ. კარამემ განაცხადა, რომ მიღებულია მთელი რიგი შესაბამისი გადაწყვეტილებანი. მან დაგმო ის ფაქტი, რომ გაზშირდა შემთხვევები, როცა ქუჩებში იტაცებენ და ხოცავენ სრულიად უდანაშაულო მშვიდობიან მოქალაქეებს და მოითხოვა დაუყოვნებლივ შეწყვეტონ ძალადობის ყოველგვარი აქტები.

პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ ქვეყანაში მიმდინარე ამბები მნიშვნელოვან ზარალს აყენებენ მთელ ლიბანელ ხალხს და შეესაბამებიან მხოლოდ მისი მტრების ინტერესებს.

სერიოზული შეუფოთება

ლეიბორისტული პარტიის კონფერენცია

ბლეკპული. (საკვლევი). **სოციალური უზრუნველყოფის დარგში ინვალიდობის მთავრობის პოლიტიკის გამო სერიოზული შეშფოთება გამოთქვეს აქ მიმდინარე ლეიბორისტული პარტიის 74-ე ყოველწლიური კონფერენციის დელეგატებმა.**

სოციალურ საკითხებზე ხარჯების შემცირება, ხაზს უსვამდნენ კონფერენციაზე გამოსული დელეგატები, აძლიერებს ისედაც კრიზისულ მდგომარეობას, რომელიც ამჟამად შეიქმნა ეროვნული განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში.

ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემაა საბინაო საკითხი, განაცხადა კონფერენციის ერთ-ერთმა მონაწილემ მ. ვუდმა. ქვეყანაში, აღნიშნა მან, 3,5 მილიონზე მეტი უმუშევარია, რომლებიც ცხოვრობენ საცხოვრებლად სრულიად გამოუსადეგარ ჯურღმულებში ან საერთოდ არა აქვთ ჭერი. ამავე დროს უაღრესად მაღალი ბინის ქირის გამო ბრიტანეთის კუნძულებზე ცარიელია 250 ათასზე მეტი ბინა და სახლი. საცხოვრებელი ბინების მწვავე ნაკლებობის მიუხედავად, ხაზი გაუსვა მ. ვუდმა, მთავრობა კვლავ ამცირებს საბინაო მშენებლობის პროგრამას.

თავიანთ გამოსვლებში ბევრმა ორატორმა მოუწოდა ლეიბორისტულ მთავრობას დაზოგოს სახსრები არა განათლებისათვის ასიგნებათა შემცირების ხარჯზე, რასაც მოსდევს მრავალი სასწავლებლის დახურვა და თწვევს ბიბლიოთეკების, ლაბორატორიებისა და სტუდენტთა საერთო საცხოვრებლების მწვავე ნაკლებობას, არამედ უზარმაზარი სამხედრო ხარჯების შემცირების გზით.

კონფერენციამ ხმის უმრავლესობით მიიღო რეზოლუცია, რომელიც უარყოფს ჯანმრთელობის დაცვისათვის საჭირო ხარჯების შემცირებას. ეს დოკუმენტი მეოცავს მტკიცე მოთხოვნას განახორციელონ სამედიცინო და ფარმაცევტული მრეწველობის ძირითადი კომპანიების ნაციონალიზაცია.

მეძებენ ნავთობს

ბაღდადი. (საკვლევი). **პირველი ნავთობის ჭაბურღილის გაყვანა დაიწყო აზ-ზუბეირის სამხედროში, რომელიც 35 კილომეტრზე მდებარეობს ქალაქ ბასრიდან ერაყის სამხრეთ ნაწილში.**

ეს უკვე მეათე ნავთობის საბადოა, სადაც სამშუშაოებს ერაყის ეროვნული ნავთობის კომპანია ეწევა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ჩრდილოეთ რუმეილის საბადო, რომლის დამუშავებაში საბჭოთა კავშირი მონაწილეობს. დღეისათვის ამ რაიონში გაყვანილია 80-ზე მეტი ჭაბურღილი. ნავთობსარეწაოს მესამე რიგის ამოქმედებით ნავთობის მოპოვება აქ გაიზრდება წელიწადში 42 მილიონ ტონამდე.

მეორე დიდი ობიექტია ნაჭრუმარის საბადო, რომელიც ყოველწლეულად 1,5 მილიონ ტონა ნავთობს იძლევა. ისიც სსრ კავშირის ხელშეწყობით აითვისეს.

გაიხსნა პარიზის ავტოსალონი

პარიზი. (საკვლევი). **საფრანგეთის დედაქალაქის ვერსალის კარიბჭესთან გაიხსნა ტრადიციულად საერთაშორისო საავტომობილო სალონი.** წელს იგი სამოცდამეოთხეჯერ ეწყობა. აქ თავისი პროდუქცია გამოუფენია ოცდასამი ქვეყნის, მათ შორის სსრ კავშირის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იტალიისა და იაპონიის წამყვან ავტოსამშენებლო ფირმებს.

სალონის სტენდებზე ექსპონირებულია ავტომანქანების 500 სხვადასხვა მოდელი, მათ შორის ოცდაათი ახალი მოდელი. სრულიად საკავშირო საზოგადოება „ავტოექსპორტი“ დამთვალიერებლებს უჩვენებს ავტომანქანების „ლადასა“ („ჟიგულის“ საექსპორტო სახელწოდება) და „ვოლგის“ სხვადასხვა მოდელს.

საკვლევი

ტელეტაიპის ლენტიდან

● ტოკიო

იაპონიის ლიბერალურ-დემოკრატიულმა პარტიამ ოპოზიციის დეპუტატთა დაუსწრებლად პარლამენტის რამდენიმე კომიტეტს მიაღებინა ახალი კანონპროექტები ზოგიერთი სახეობის საქონლის ფასების მნიშვნელოვანი გაძვირების შესახებ. ეს არის საქონელი, რომლის ვაჭრობა სახელმწიფოს გამგებლობაშია, აგრეთვე საფოსტო ტარიფები.

● ვაშინგტონი

ინფლაციის შედეგად განუწყვეტელივ მცირდება ამერიკელთა რეალური შემოსავალი. ამერიკის შეერთებული შტატების აღწერის ბიუროს მონაცემებით, ამერიკელი ოჯახის საშუალო შემოსავალი 1974 წელს გაიზარდა 7 პროცენტით 1973 წელთან შედარებით, მაგრამ რეალური გამოანგარიშებით იგი შემცირდა, რადგან 11 პროცენტით მოიმატა ფასებმა.

● ჰავანა

აქ დამთავრდა ფესტივალი „ლათინური ამერიკის ხალხთა სიმღერები“, რომელიც მოაწყო კუბის უდიდესმა კულტურულმა ცენტრმა „ამერიკის ხალხმა“.

● რიო-დე-ჟანეირო

ბრაზილიის მოსახლეობა შეადგენს 107,2 მილიონს. ამას იტყობინება ბრაზილიის გეოგრაფიისა და სტატისტიკის ინსტიტუტი.

● პარიზი

მიმდინარე წლის პირველ ექვსი თვის მანძილზე 7.800-ზე მეტმა საწარმომ შეწყვიტა არსებობა საფრანგეთში. ეს 22 პროცენტით მეტია, ვიდრე 1974 წლის ამავე პერიოდში.

● ნიუ-იორკი

ქვეები დაუშინეს ზანგ ქალიშვილთა და ჭაბუკთა ჯგუფს, რომელ ბ ი ც მიდიოდნენ თავიანთი სკოლის შენობისაკენ ქალაქ დანბერში (კონექტიკუტის შტატი). ასე „მიესალმა“ მათ 200 თეთრკანიანი თანაკლასელი, რომლებიც რახანტი მშობლების შეგონებით მოქმედებდნენ.

სკოლის ეზო და კლასები ნამდვილ ბრძოლის ველად გადაიქცა.

მ ო კ ლ ე დ

ამ ერთ კვირაში

ოთარ ჭილაძეს ორი წიგნი გამოსცა წარწან — ლექსებისა და პოემების კრებული „გულის მეორე მხარე“ და რომანი „ზაზე ერთი კაცი მიდიოდა“. ის წლების მანძილზე მუშაობდა თავაუდებლივ, თვითონ გამოჰქონდა მადანი, თვითონ ოლიდა ძვირფას ქვას, თვითონ ტეიფრავდა და აზეკურთმებდა.

და აი ორი მკვიდრად წავები შენობა დგას ჩვენს წინ მხატვრის ჭკვიანი, მუდამ მორთოლვარე და ამის გამო თითქმის უცდომელი ხელით აგებული.

კრებულში მოთავსებული პირველი ლექსი 1956 წლით არის დათარიღებული. პოეტი ხმადაბლა, შეკავებული ენებით იწყებს თავის სიმღერას.

ის ფიქრობს ლექსში, წინ იყურება, რაღაცას წონის, აკვირდება, ფიქრობს... ფიქრისათვის კი შინაგანი წონასწორობაა საჭირო, ძალიან ძნელად მოსაპოვებელი, როცა ყველაფერი გარშემო „გამდვრევს“, ხელისგულებს გიმაშრავს და ლუსაწყვეტილ ხომალდის გემბანივით გატორტმანებს, როცა ამბორად გრძნობ, რომ:

თითქოს მავთულსაც ტკივა და
წვიან,
თითქოს ხარკმელსაც ტკივა და
ელავს.

ლირიკოსისთვის საერთოდ დამახასიათებელია თავისებური ეგოცენტრიზმი. ეს თვისება თვითგამორკვევის დაუცხრომელ წყურვილშიც ვლინდება. დიმიტრი უნნაძე ამბობდა, რომ ბარათაშვილის მთელი ლირიკა „ოდესაა თვითგამორკვევისკენ მიმსწრაფი სულისა“.

მკითხველისთვის მნიშვნელოვანია ის, თუ რა მანძილს, რა სივრცეს გაივლის ამ მომართულებით დაძრული „სული“.

თთარ ჭილაძის ლირიკულ სამყაროს აქვს თავისი საზღვრები, ეს საკუთრივ ლირიკული სამყაროა. მაგრამ ამ ჩარჩოებში ბევრი რამაა დატეული, გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე ზოგიერთი მსატვრის მიერ ზეიერელ გაუთავებლივ ტეიფრავ ლებებით აჭრელებულ ტილოზე.

ლირიკული „გთავისიანების“ ბრწყინვალე მაგალითია პოეტის ერთ-ერთი ადრინდელი ლექსი „ბერემი“ — არა ისტორიის დიდებული ნამთი, არა ტერიტორია თვალის საამებელი ეკზოტიკური სანახაობა, არა მაღალფარდოვანი ფრაზის სამკაული, არამედ პოეტის შინაგანი სამკვიდროს, მისი არსების განუყოფელ ნაწილად მიჩნეული ცოცხალი სახე, მისი ფიქრისა და სულისკვეთების სრულქმნილი უკუფენა:

როდესაც ასე ახლოა ბერემი,
მეც მინდა ვიყო უფრო
მაღალი...

ასე სადად და ძალდაუტანებლად ისსამს ფრთებს ო. ჭილაძის ლექსში პატრიოტული თემა.

პოეტი ყველაზე მეტრნმობიარე ხელოვანია და მისი ეს თვისება იმითაც შეიცნობა, თუ რამდენად ფაქიზად, ზუსტად, მტკივნეულად იგრძნო ტ სხვათაგან მხოლოდ მიახლოებითით, ყრუდ ან ბუნდოვნად ნაგრძნობი.

მარტო ბალაკონ ტაბიძეს შეეძლო ეთქვა:

ცვრიან ბალახზე თუ
ფეხშიშველა
არ გაიარე, რაა მამული?!

ნამდვილი სიყვარული ყოველთვის ახლებურად ვლინდება და მისი არსებითი ნიშანიც ამ სიახლეშია, გრძნობის ასოად აღმოჩენილ იერში.

აი ამ სიახლეთა დაულევლობის კიდევ ერთი, სიხარულის მომნიჭებელი მოწმობა, ჩვენს დროში. ჩვენი საუკუნის შვილის მიერ განცდილი და პოეზიის ენით ამეტყველებული.

მინდორში ვდგავარ და ყორებს
ვუსტვენ,
მზოლოდ იმისთვის, რომ
დაგენახვნო,
ზედაზნის ნისლო, ნაზო და
სუსტო,
მდინარის თვალო, ტყეე და
ვენახო.
მთაზე უბელო ცხენს მივაჭენებ,
რომ მოგაწონო თავი ბებერო.
და თუ არ ვიცი, თვითონ
მაჩვენე,
როგორ შეგხედო და მოგეფერო.

ეს ახლად ფეხადგმული გრძნობის ენაა, მკერდში დაგუბებული სინაზის პირველი, ჟუტანლად ნეტარი ბიძგი, სიყვარულის პირველი ასხნა.

მშვენიერი აქ ის არის, რომ პოეტის მიერ ზუსტად და სავსებით შეანარჩუნებულია გრძნობის სიჩვიდგამოცდილი მიჯნური ასე არ მეტყვეოლეს. მან დიდისანია ისწავლა, როგორ „ვეხედოს“ და „მოეფეროს“ თავისი ენების სგგანს. სამაგიეროდ უკვე აღარ ახსოვს, რაა ნამდვილი ოროთოლეა, პირველი გამხელის დიადი უმწეობა.

მე შორიდან დავიწყე. ოთარ ჭილაძეს დღეისათვის თავისი შემოქმედების ბიოგრაფიის არაერთი მიჯნა აქვს გაკვლილი.

ის შესანიშნავი ოსტატია გასულ ათწლეულში განსაკუთრებით მდიდრულად წარმოჩენილი ჟანრისა, რომელიც ლირიკული პოემის სახელით დამკვიდრდა ქართულ პოეზიაში.

მისი „დეკემბერი სავსე ქუდი“, „შესავალი“, „ადამიანი გაზეთის სვეტში“, „თიბის სამი ფირფიტა“ და „სიყვარულის პოემა“ სხვადასხვა დროს მკითხველი საზოგადოებისა და სალიტერატურო კრიტიკის ყურადღების ცენტრში მოექცა.

უკვე ითქვა, რომ ეს ნაწარმოებები ქართულ ლიტერატურაში დარჩება როგორც დროის ლირიკული დოკუმენტები, როგორც „აღსარება საუკუნის შვილისა“.

ამ პოემებში ბევრი რამ არის პირადი, ინტიმური, არის ისეთი აღგზნებიც, რომელთა კითხვისას სუნთქვა აღარ გყოფნის, ისე მკაცრად დაბუნდია ის სივრცე, სადაც ავტორის ფიქრი მოძრაობს, ისე ეძალება პოეტურ სახეების პირობითობა, ისე გაუცხოებულია გარემო და ხილვები...

მაგრამ შესაძლოა, ეს ერთი მკითხველის (ამ შემთხვევაში ჩემი) სუბიექტური შთაბეჭდილების შედეგი იყოს.

ო. ჭილაძის ლირიკულ შემოქმედებაში მთავარია ბარა ის, რომ მისი ლექსის ამოსავალ წერტილს ყოველთვის პირადი განაცადი წარმოადგენს, არამედ მეორე გაცილებით უფრო არსებითი თვისება.

მისი ლექსის ყველა ბილიკი, ყველა ხაფანგი გარეთ და ტყვილთ ეკაფული ულრანი, ყველა მთავარი მოძრაობა ერთ მხარეს არის მიმართული.

ეს ის მხარეა, სადაც დღეს თანამედროვე ქართველი ადამიანის მრავალი ფიქრი და ზრახვა ჯვარედინდება.

როცა ჭეშმარიტი პოეტი თავის ხალხსა და ქვეყანაზე ფიქრობს, ის ამავე დროს ფიქრობს საერთოდ ხალხზე და საერთოდ ქვეყანაზე, არა მხოლოდ ქართველ კაცზე და მის მიწა-წყალზე, არამედ საერთოდ ადამიანზე და მის ამქვეყნიურ სამყოფელზე, ადამიანთა მოდგმის მიზანსა და დანიშნულებაზე.

როცა ის თავის მშობელ დედას მიმართავს, ის ამავე დროს მიმართავს ყველა დედას — ყველა შვილს სახელით.

დღევანდელი ოთარ ჭილაძის ლირიკის გმირი უკვე ძალიან შორს არის წასული უბელო ცხენზე მოთარეშე იმ თავმოშწონე ბიჭისაგან, ზედაზნის ნისლს რომ ეთამაშებოდა.

ფიქრი სამშობლოს ხვედრზე დაუძინებელია, დაუცხრალი ფიქრი სამშობლოსა და იმ ადამიანზე, რომელიც სამშობლოს განკიდა ჯარეშე მხოლოდ უფისგო. უსიცოცხლო მცენარეა, მხოლოდ უსულო ფიტულია, წარმოადგენს ო. ჭილაძის რომანის „ზაზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ მთავარ ძარღვს.

ორი წყარო კვებავს რომანის ავტორის შთაგონებას — ქართული ზღაპარი და ელინური მითოლოგია. ო. ჭილაძე თვითონაც მითის მთხზველად გვევლინება, მითოლოგიურ სახეებში, სიუჟეტურ სვლებში, სურათებში გარდასახულია ეროვნული ისტორიის ბამოცდილება.

ქართული ლიტერატურის ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა, რომ ეს წარსული ცხოვრების მთავარ დიაკუმენტად გამოყენებულია არა მემატიანეთა მოწმობები, არამედ ხალხური შთაგონების მიერ თქმულებად, ლეგენდად, ზღაპრად გარდაქმნილი ეოცხალი სული ისტორიისა.

ამავე დროს „ზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ უაღრესად რეალისტური ნაწარმოებია. მკაცრი, თანმიმდევრული, უშეღავათო ფსიქოლოგიური რეალიზმით დაწერილი რომანი. არც ერთი მოქმედი პირი არ არის აქ დანდობილი, არც ერთს არ აღებს თავზე იდეალური პიროვნების შარავანდედი. თვით მთავარი გმირის — ფარნაოზის ხასიათშიც ლაიტმოტივად საკუთარი თავისადმი უკმმპრომისო დამოკიდებულება აქცენტირებული.

და მაინც სწორედ ამ ადამიანის სახე წარმოადგენს რომანის დედაზრის, მისი ჰუმანური თვალსაზრისის გასალებს.

ეს ხასიათი მთელი თავისი სისავსით მის ანტიპოდთან დაპირისპირებისას იხსნება.

ფარნაოზი და ვუსა ერთი ხალხის, ერთი დროის შვილები არიან, მაგრამ მათ შორის გადაულასავი უფსკრელია.

პირველი გამოუსწორებელი მეოცნებე და მეამბოხეა, მეორე — გარემოებათა მონა და კონფორმისტი.

რეცეპტენტის ფუნქციებში არ შედის იმის ახსნა, რაც მწერალმა ჩაიფიქრა. მე მინდა ქართველ მკითხველს ვურჩიო მხოლოდ ერთი რამ: გულდასმით წაიკითხოს ეს წიგნი. მის შინაარსს რამდენიმე განზრახულება აქვს — კერძო და ზოგადი, რეალური და სიმბოლური, კონკრეტული და საყოველთაო.

ეს ნაწარმოები „სახალისო“ ლიტერატურას არ განეკუთვნება. ის ძნელად იკითხება. თხრობის თავგარი ნაკადი ზოგჯერ ისე მდორდება, ისე იქსაქსება უამრავ განტოტებად, დამხმარე ხაზების მხატვრული დეტალების რთულ კომპლექსად. რომ მარტივი სტილისა და მძაფრი სიუჟეტის მოყვარულმა მკითხველმა შეაძლოს აქა-იქ მოიწყინოს კიდეც.

სამაგიეროდ ნაწარმოების დედაზრი სიმსნელის მომგვრელია — მათთვის, ვინც ცხოვრებაშიც და ლიტერატურაშიც მხოლოდ იოლად ხელმისაწვდომს არ სჯერდება.

ფარნაოზის ოდგმა ფრთებზე მეოცნებეთა მოდგმაა — ახალ სიერცეთა დასაპყრობად მოწოდებული, მთაგონებისათვის. გაბედვისათვის. შენებისათვის, შემოქმედებისთვის მოსული ამ ქვეყნად, სინათლისა და ცოდნის წადილით შეპყრობილი, ენდამაღათ: სიცოცხლე ასეთ სულიერი წყობის პიროვნებათათვის მტკივნეული პროცესია, ვინაიდან ისინი ყველგან და ყველაფერში იდეალს, სრულყოფილებას ეძებენ. მათ ყველაფერი უმირთ, ყველაფერი სიმწრით ეძლევათ, ისიც კი, რაც სხვას ჩალის ფასად ეფირს. „ხოფილი“ განსაკუთრებით ულმობელია მათდამი. სხვებზე უფრო დაუზოგავად „აბრუნებს“ გამუდმებით ამსხვრევს ფრთებს და ყოველი მხრიდან „ძირის აღსაფხვრელად“ ეტანება.

ეს ქედუბრალი მოდგმა პრომეთესებური ტანჯვისა და ამტანობისათვის არის განწირული — ათასი წაგებული ომისთვის, მოთმინებისთვის, მარადი წყურვილისა და თავდადებისათვის.

და მაინც მისი შემუსვრა შეუძლებელია. ვიდრე ფესვები მშობელ ნიადაგს არ მოშუყდარან, ვიდრე შემოქმედის წმინდა შთაგონებას მშობელ წიალთა ცხოველი ნამი ასაზრდოებს.

ოთარ ჭილაძის რომანი თანამედროვე საბჭოთა პროზის იმ ღირსშესანიშნავ ნაწარმოებთა რიგში დგას, რომელთა შინაარსში განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა ჩვენი დღეების სულიერ ძიებათა კვალი — ახალი სამყაროს, ახალ სოციალურ ურთიერთობათა შემოქმედი ადამიანის ზნეობრივი სრულქმნისა და აღორძინების მოთხოვნილება.

ფარნაოზის სულმდაბალი ანტიპოდების — ყველა ჯურის კონდოტიერების, მეფეროვეთა, მოღალატეთა, ფარისეველთა საქმე და სასსენებელი დავიწყების სქელ ბურუსში ინთქმება. მათს საფლავებს მხოლოდ ზიზღის ძეძვნარი ფარავს.

საუკუნოდ ბრწყინავს და ანათებს მზის მაძიებელთა თავგანწირული სულისკვეთება, ის, რასაც ჭეშმარიტი შთაგონების ათინათი შეეხო და შეედგომ მავალთა გზის გასაადვილებლად დანთებულა.

გურამ ასათიანი.

ფოტოინფორმაცია

პარიზში გაიმართა მშრომელთა მასობრივი დემონსტრაცია. პარიზის რაიონის ათეულ ათასობით მშრომელმა გაიარა ქალაქის ქუჩებში საქალაქო რატუშის შენობამდე. მათ მოჰქონდათ ლოზუნგები და მოითხოვდნენ საპენსიო ასაკის, სამუშაო დღის ხანგრძლივობის შემცირებას, სრული დასაქმების უზრუნველყოფას.

სურათზე: პარიზის მშრომელთა დემონსტრაცია. **საკვლევის ფოტო.**

ინტერნაციონალისტური ინტერვენციის ... ...

საქართველოს ეთა-ბაღში

ვეტერანი მესტამგის გაცილება

ტყიბული. (საკ. კორ.). ამ დღეებში პენსიაზე საზეიმო გაცილება მოუწყეს ტყიბულის სტამბის ასოთამწყობს, პოლიგრაფიული მრეწველობის დაწყებამოსილ მუშაკს ნადია ბერუაშვილს.

საზეიმო სხდომა, რომელიც სტამბის მთავარ კორპუსში გაიმართა, შესავალი სიტყვით გახსნა სტამბა-რედაქციის პარტბიუროს მდივანმა კ. მინდიაშვილმა. ვეტერანი პოლიგრაფმუშაკის ნ. ბერუაშვილის ცხოვრებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა გაზეთ „ტყიბულის" რედაქციის ადგილკომის თავმჯდომარე გ. ვეწაძე.

იუბილარს გულთბილი მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს გაზეთ „ტყიბულის" რედაქტორმა ს. მერკვილაძემ და ლინოტიპისტმა შ. ბაქრაძემ.

დასასრულ სტამბა-რედაქციის თვითმოქმედმა მხატვრულმა კოლექტივმა გამართა კონცერტი.

ახალი სამშობიარო სახლი

ახალციხე. (საკ. კორ.). ამ დღეებში საეპიდემიოლოგიოდ გადადგა ახალი ორსართულიანი, 45-საწოლიანი სამშობიარო სახლი, რომლის საოპერაციო, სამშობიარო და სამანიპულაციო ბლოკები, ინკუბატორი, საწოლი ოთახები აღჭურვილია ახალი თანამედროვე სამკურნალო-პროფილაქტიკური სამედიცინო აპარატურით.

ქითხვა-პასუხის საღამო

ახმეტა. (საკ. კორ.). სოფელ მატანში, მეევნახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთათვის ამ დღეებში გაიმართა კითხვა-პასუხის საღამო საბჭოთა სამართლისა და კანონიერების დაცვის საკითხებზე.

საღამოზე დამსწრე მშრომელთა მრავალ შეკითხვაზე პასუხი გასცეს რაიონის პროკურორმა ქ. ხარაჯიშვილმა, სასაქონლო მოსამართლემ გ. ოსეფაშვილმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ა. ჭუნიაშვილმა, სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგემ ვ. ორმბოთიშვილმა, ნოტარიუსმა ნ. გაგოშიძემ და საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ა. ბაკურაძემ.

ნუარათზე: საბჭოთა კოსმონავტები და ამერიკელი ასტრონავტები სტუმრად თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სახლში.

ა. რუსაძისა და ზ. ბრინჯის ფოტო (სატელეფოტო).

ფეხბურთი

დაიწყო 25-ე ტური

გუშინ მოსკოვის „ლოკომოტივის" სტადიონზე გამართულ მატჩით დაიწყო „ა" კლასის უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი, 25-ე ტური. დედაქალაქის რკინიგზელი ფეხბურთელები მასპინძლობდნენ ცსკა-ს. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1

დღეს მოსკოვის „დინამო" თბილისის სტადიონზე მიიღებს დნეპროპეტროვსკის „დნეპრს".

ამ ტურის დანარჩენი მატჩები გაიმართება 5 და 7 ოქტომბერს.

წილისყრა ციურიხში

გუშინ ციურიხში სასტუმრო „ატლანტისში" უეფა-ს ხელმძღვანელობამ ჩაატარა ევროპის ტურნირიების წილისყრა კონტინენტის 64 საკლუბო გუნდს შორის.

ვინ ანიან საბჭოთა ფეხბურთელების მეტოქეები ამ გათამაშების მეორე ტურში?

კიევის „დინამო" ჩემპიონთა თასის მერვეფინალის პირველ მატჩში შეხვდება ინგლისის „აკრანეს", რომელმაც მოუგო კვიპროსის „ომონიას" — 1:2, 4:0.

ერევნის „არარატი" მერვეფინალში (თასების მფლობელთა თასზე) ითამაშებს ინგლისის „ვესტ ჰემ იუნაიტედთან" (ან დაამარცხა ფინეთის „რეფპასი" — 2:2, 3:0.

მოსკოვის „სპარტაკი" და „ტორპედო" უეფა-ს თასზე გათამაშების მეთექვსმეტეფინალურ მატჩებს ჩატარებენ გფრ-ის „კოელნსა" (სძლია დანიის „ბოლდკლუბენს" — 2:0, 3:2) და თურქეთის „გალათასარაისთან" (მოუგო ავსტრიის „რაპიდს" — 0:1, 3:1).

საბჭოთა გუნდები პირველი მეტოქეთა მოედნებზე გამოვლენ.

პირველი შეხვედრები, როგორც ცნობილია, გაიმართება 22 ოქტომბერს, ხოლო სპასუხები — 5 ნოემბერს.

ფეხბურთი

სუსტი სტარტი

გუშინწინ ტაშკენტში დაიწყო სსრ კავშირის ჩემპიონატის (უმაღლესი ლიგა) მეორე ტური 12 გუნდის მონაწილეობით, რომელშიც უნდა გამოვლინონ ფინალური ექვსეული (ისინი ჩემპიონის სპატარა ტიტულს გათამაშებენ მოსკოვში). პირველი ტურის შემდეგ ქულათა ყველაზე მეტი რაოდენობა აქვთ მოსკოვის უნივერსიტეტს გუნდს — 10, მეზღვაურთა ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდს — 9, კიევის „დინამოს" — 8, მოსკოველ და თბილისელ დინამოელებს — შვიდ-შვიდი. მეორე ტურის პირველ მატჩში კიეველებმა ხძლიეს თბილისელებს — 6:4.

გუშინ ქართველმა წყალბურთელებმა ანგარიშით 5:6 წააგეს მინსკის „ბურევესტნიკთან".

ქალთა ჩემპიონატზე

ქალთა საკავშირო ჩემპიონატი, [illegible] — [illegible] — [illegible] —